2016 წლის 25 აპრილის ხელშეკრულება №6-ის
მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი **20 ოქტომბერი, 2016 წელი**

მხარეები:

ერთის მხრივ **შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“** შემდგომში წოდებული როგორც **„დამკვეთი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, თორნიკე ყაზარაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, **შპს "დელტა კომმი"** შემდგომში წოდებული როგორც **„შემსრულებელი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა ქიქოძის სახით,

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2016 წლის 25 აპრილს გაფორმებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გადატანის შესახებ ხელშეკრულება №6-ის (შემდგომში „ხელშეკრულება“) საფუძველზე შემსრულებელმა შეასრულა, ხოლო დამკვეთმა მიიღო ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო.

ვინაიდან, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მხარეთა შორის 2016 წლის 21 ივნისის დანართი №3-ის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობა არ დამდგარა, მხარეები ვთანხმდებით, რომ შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს – 119 734.40 (ასცხრამეტი ათას შვიდას ოცდათოთხმეტი ლარი 40 თეთრი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, რომელიც დამკვეთის მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მხარეები ვადასტურებთ, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულები სრულად და ჯეროვნად იქნა შესრულებული და მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნიათ.

წინამდება მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

დამკვეთი	**შემსრულებელი**
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	**შპს "დელტა კომმი"**
ს/კ 404957338 მისამართი: ბარათაშვილის ქ. №8-10, თბილისი 0105.	ს/კ 204991795 მისამართი: ქ. თბილისი, გაფრინდაული ქ. №2
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	გენერალური დირექტორი
თორნიკე ყაზარაშვილი	**პაატა ქიქოძე**